



## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბრენდის იმიჯისა და გამოცდილების კვლევა

(აბიტურიენტებისა და აბიტურიენტების მშობლების კვლევა - თვისებრივი კომპონენტი)

ფოკუსური ჯგუფის სახელმძღვანელო

### ნაწილი 1. შესავალი

#### მისაღება

რა არის ფოკუსური ჯგუფი

რამდენ ხანს გაგრძელდება ფოკუსური ჯგუფი. რესპონდენტთა დარწმუნება იმაში, რომ მათი პიროვნება და პასუხების კონფიდენციალობა დაცული იქნება.

ჩამწერი აპარატურის (ვიდეოკამერა, მიკროფონები) დანიშნულების ახსნა. დისკუსიის მოდერაციის ძირითადი წესები:

- გულწრფელი რეაქციები და გულწრფელი პასუხები
- არ არსებობს "სწორი" და "არასწორი" პასუხები
- საკმაოდ ხმამაღლა და გარკვევით საუბარი
- თხოვნა მობილური ტელეფონების გამორთვასთან დაკავშირებით

#### დისკუსიის მონაწილეთა მოკლე წარდგენა

- სახელი, ასაკი, მიმდინარე სტატუსი, ჰობი და ა.შ.

### ნაწილი 2: ზოგადი დამოკიდებულებები და აღქმები უმაღლეს განათლებასა და უნივერსიტეტებისადმი

*მოდერატორი: ახლა მე ვიტყვი სიტყვას და თქვენ მითხარით ყველაფერი რაც დაუფიქრებლად, სპონტანურად მოგივათ თავში ამ სახელის გაგონებისას:*

#### საქართველოს უნივერსიტეტები

- რას ფიქრობთ ამ სახელის გაგონებაზე?
- რას მეტყვით დადებითს ზოგადად საქართველოში მოქმედ უნივერსიტეტებზე?
  - რა შეიძლება ჩაითვალოს უმაღლესი განათლების სფეროში წინ გადადგმულ ნაბიჯებად ბოლო 3 – 5 წლის განმავლობაში?
- რა არის ის, რაც ნაკლებად მოგწონთ მათთან მიმართებაში?
- როგორ შეიცვლებოდა თქვენი პასუხები იმ შემთხვევაში, თუ მე გკითხავდით მოსაზრებას მხოლოდ "სახელმწიფო" უნივერსიტეტებზე? რას ფიქრობთ მათზე?
  - რომელი სახელმწიფო უნივერსიტეტების გამოყოფა შეგიძლიათ, როგორც განსაკუთრებით წარმატებულის, ძლიერის? რა განსაზღვრავს მათ სიმდიერეს?
- როგორ შეიცვლებოდა თქვენი პასუხები იმ შემთხვევაში, თუ მე გკითხავდით მოსაზრებას მხოლოდ "კერძო" უნივერსიტეტებზე? რას ფიქრობთ მათზე?



- o რომელი "კერძო" უნივერსიტეტების გამოყოფა შეგიძლიათ, როგორც განსაკუთრებით წარმატებულის, ძლიერის? რა განსაზღვრავს მათ სიძლიერეს?
- თქვენი აზრით, რატომ ირჩევენ სტუდენტები სახელმწიფო და არა კერძო უნივერსიტეტებს და პირიქით?

**ევროპის უნივერსიტეტები**

- რას ფიქრობთ ამ სახელის გაგონებაზე?
- რით განსხვავდება ევროპის უნივერსიტეტები საქართველოში მოქმედი უნივერსიტეტებისგან? რატომ ფიქრობთ ასე?

**ნაწილი 3: უმაღლესი სასწავლებლის შერჩევის კრიტერიუმები**

**უნივერსიტეტის შერჩევა სამაგისტრო პროგრამისთვის**

- როგორც ვიცი, თქვენ (თქვენი შვილი) აპირებს 2012 წელს ჩააბაროთ უმაღლესში მისაღები ერთიანი ეროვნული გამოცდები. გთხოვთ, მითხართ, რომელი უმაღლესი სასწავლებლების ჩაწერას აპირებთ განაცხადში პრიორიტეტულ პირველ და მეორე ადგილებზე? (მოდერატორი აუცილებლად ისმენს ჯგუფის ყველა მონაწილის პასუხს)
- მოდით, დეტალურად ვისაუბროთ უმაღლესი სასწავლებლის შერჩევის პროცესზე:
  - o საიდან მიიღეთ / დებულობთ ინფორმაციას უმაღლესი სასწავლებლების და იქ მიმდინარე პროცესების შესახებ?
  - o თქვენი აზრით, რომელი საინფორმაციო წყაროა ყველაზე ეფექტური, სანდო? რატომ ფიქრობთ ასე?

**წერთი დავალება №1**

ახლა მე დაგირიგებთ ფურცლებს და გთხოვთ, დაწეროთ მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 5 კრიტერიუმი რისი მიხედვითაც შეარჩიეთ თქვენს მიერ დასახელებული პრიორიტეტული უმაღლესი სასწავლებლები.

*თითოეული მონაწილე ხმამაღლა კითხულობს მის მიერ დასახელებულ კრიტერიუმებს და ამის შემდეგ იწყება განხილვა ყველაზე ხშირად დასახელებული პუნქტების შესახებ*

- ბევრმა თქვენგანმა დაასახელა შერჩევის მახასიათებლად .... .. , რატომ არის ეს კრიტერიუმი ყველაზე მნიშვნელოვანი? (იგივე კითხვა მეორდება ყველაზე ხშირად დასახელებულ 4-5 კრიტერიუმზე)
- როგორ ხდებოდა პრიორიტეტული უმაღლესი სასწავლებლების შერჩევის გადაწყვეტილების მიღება? ვინ იყო ამ პროცესში ჩართული? რა იყო მათი მხრიდან დასახელებული არგუმენტები, რის გამოც თქვენ უნდა აგერჩიათ კონკრეტულად ეს უმაღლესი სასწავლებლები? (მითითება მოდერატორს: მშობლების ჯგუფზე მოხდება ჩამოება ემთხვეოდა თუ არა მათი და მათი შვილების პოზიცია პრიორიტეტული უმაღლესი სასწავლებლების შერჩევისას? რა იყოს მსგავსი და /ან განსხვავებული არგუმენტები?)



- გთხოვთ მითხრათ, საბოლოოდ გადაწყვეტილების მიღებისას ვის აზრს ითვალისწინებთ ყველაზე მეტად და რით არის ეს განპირობებული?
- მოდით ახლა ვისაუბროთ თქვენს მოლოდინებზე. იმედია, ყველაფერი კარგად დასრულდება და თქვენ გახდებით თქვენს მიერ არჩეული უნივერსიტეტის სტუდენტი. როგორ წარმოგიდგენიათ, რას მოგცემთ თქვენ ამ უნივერსიტეტის სტუდენტობა? მისი დიპლომი? რა პოზიტიურ შედეგს მოიტანს ის თქვენს სამომავლო გეგმებში, საქმიანი და პირადი ცხოვრების განვითარებაში?
- მისაღებ გამოცდებამდე საკმაოდ დიდი დროა დარჩენილი. გთხოვთ მითხრათ, რა ტიპის ინფორმაციამ, ნოვაციამ, გარემოებამ შეიძლება დაგაფიქროთ და შეგაცვლევინოთ გადაწყვეტილება - შეიცვალოთ თქვენი პოზიცია და პრიორიტეტულ უნივერსიტეტების განაცხადში სხვა უნივერსიტეტები დაწეროთ პირველ და მეორე ადგილზე?

**ნაწილი 4: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და მისი კონკურენტების არსებული იმიჯის შესწავლა**

- ახლა მინდა ცოტა უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელზე:

თითოეულ...ჯგუფზე...მოხდება...თბილისის...სახელმწიფო...უნივერსიტეტის...ილიას უნივერსიტეტის...საქართველოს...ტექნიკური...უნივერსიტეტის...სამედიცინო უნივერსიტეტის...თავისუფალი...უნივერსიტეტის...და...საქართველოს...უნივერსიტეტის იმიჯების შესწავლა. ჯგუფებზე მოხდება უმაღლესი სასწავლებლების როტაცია

- **თავისუფალი ასოციაცია:** რა აზრი მოგდით თავში როდესაც ვამბობ ..... ? გთხოვთ არ შეიზღუდოთ აზრებში: დამისახელეთ ყველა წარმოდგენა, ასოციაცია, აზრი?
- **პერსონიფიკაცია:** *გთხოვთ წარმოიდგონოთ, რომ ..... არის ადამიანი. მოდით დავახასიათოთ ის.*
  - ⇒ საიდანაა ეს ადამიანი წარმოშობით: ქვეყანა, სოციალური ფენა, ასაკი, სქესი და ა.შ.
  - ⇒ რითია ეს ადამიანი დასაქმებული ცხოვრებაში? რა პროფესიისა? რა გამოარჩევს ამ ადამიანს სხვებისგან: რა მახასიათებლები? აღწერეთ ამ ადამიანის საცხოვრებელი – ყველა დეტალი. როგორ ატარებს თავისუფალ დროს – სად დადის, ვისთან ერთად ? რა მანქანით დადის? რას ფიქრობენ მასზე სხვა ადამიანები? თავად ის რას ფიქრობს და როგორ ექცევა სხვა ადამიანებს? როგორია მისი მომავალი?
  - ⇒ როგორი ხასიათისაა? როგორ ხართ განწყობილი ამ ადამიანის მიმართ? ის რომ თქვენი ნაცნობი იყოს რა ურთიერთობებში ისურვებდით ამ ადამიანთან ყოფნას?
  - ⇒ როგორ არის განწყობილი თქვენს მიმართ ეს ადამიანი?
  - ⇒ როგორია მისი მომავალი?
  - ⇒ მოდით, გავაკეთოთ პატარა რეზიუმე ამ ადამიანის პიროვნებასთან დაკავშირებით: რა არის მისი დადებითი/ უარყოფითი თვისებები



- როგორ ფიქრობთ, რა არის ამ უმაღლესი სასწავლებლის ძლიერი მხარეები? უპირატესობები? რატომ ფიქრობთ ასე?
- რა არის მისი ნაკლოვებებები? რატომ ფიქრობთ ასე?
- მოდით ვისუბროთ ადამიანებზე, რომლებიც ამ სასწავლებელში სწავლობენ: თქვენი აზრით რა კატეგორიის სტუდენტები სწავლობენ ძირითადად .....ში?
- რატომ ჩააბარეს იქ?
  - ცოდნის გაღრმავების გამო
  - დიპლომის გამო
  - სასწავლებლის პრესტიჟულობის გამო
  - გარანტირებული სამსახურის გამო
  - სხვა
- გთხოვთ მითხრათ, რა უნდა შემოგთავაზოთ / რა ცვლილებები უნდა განახორციელოს ამ უმაღლესმა სასწავლებელმა რომ თქვენ გადაწყვიტოთ / თქვენს შვილს ურჩიოთ ჩააბაროს ამ უნივერსიტეტში?
- მოდით ახლა შევაჯამოთ ჩვენი დღევანდელი საუბარი: ამ ეტაპზე, რომელი უმაღლესი სასწავლებელი მიგაჩნიათ უმაღლესი განათლების ბაზრის ლიდერად?  
თუ არ დასახელდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: რა ცვლილებები უნდა გატარდეს ამ უმაღლეს სასწავლებელში, რომ მან დაიბრუნოს ყველაზე პრესტიჟული და წარმატებული უნივერსიტეტის სტატუსი?

**დიდი მადლობა დისკუსიაში მონაწილეობისთვის!**